მწყემსი

მე ვარ მწყემსი კეთილი: მწყემსმან კეთილმან სული თვისი დაჰსდვის ცხოვართათვის. (იოან. 10—11).

ვპოვე ცხოვარი ჩემი წარწყმედული. ესრეთ იყოს სიხარული ცათა შინა, ერთისათვის ცოდვილისა. (ლუკ. 15—4).

მოვედით ჩემდა ყოველნი მაშურალნი და ტვირთ-მძიმენი და მე განგისვენო თქვენ. (მათ. 11—28).

№ 22 **1883—1894** **15—30 ნოემბერს.**

შინაარსი. რედაქციისაგან.—ჩვენ მოძმეთა საყურადღებოდ.—ახალი ამბები და შენიშვნები.—უმაღლესი მანიფესტი.—მოვალეობანი კაცისა.—„მწყემსი“-ს კორრესპონდენცია შორაპნის მაზრიდან.—როგორი მღვდლები იყვნენ ძველ დროში?—ურნალ-გაზეთთაგან.—მშვენიერი იოსები.—საეჭვო კითხვების განმარტება.—რედაქციის პასუხი.

რედაქციისაგან.

1895 წლის იანვრის პირველს ჩვენს ორგანოს «მწყემსს» შეუსრულდება თორმეტი წელიწადი. თორმეტი წელიწადი საკმაო დროა ყოველი გამოცემისათვის, რომ საზოგადოებამ ამ გამოცემაზე თავისი აზრი და შეხედულება შეადგინოს. თორმეტი წლის შემდეგ საჭიროდ აღარა ვრაცხთ განუმარტოთ მკითხველ საზოგადოებას ჩვენი გამოცემის მიზანი და მიმართულება. დარწმუნებული ვართ, რომ ვინც ჩვენ გამოცემას თვალი ადევნა, იმას კარგად ექმნება შეგნებული ჩვენი მიმართულება და მიზანი, ჩვენი გულითადი სურვილი და ნატვრა... ნათქვამია: საქმის გულით და სიყვარულობით ხელის მოკიდება ყველა დაბრკოლებას დაძლევსო და იმედი გვაქვს, რომ წვრიმალი დაბრკოლება ვერ დაგეძლევს და მედგრად განვაგრძობთ სელას და ვიველით იმ ეკლიან გზაზე, რომელიც ერთხელვე დასჩემდა ჩვენს გამოცემას....

სრული დაიმედებული საზოგადოებისა და განსაკუთრებით ჩვენ მოძმეთა თანაგრძნობაზე და ზნეო-

ბით მათ დახმარებაზე, ჩვენ ვაცხადებთ, რომ მომავალი წლიდამ ჩვენი გამოცემა გამოვა იმავე პროგრამით და მიმართულებით და იმავე სიერცით, როგორც დღემდის გამოდიოდა. ფასი გამოცემათა დარჩება იგივე, რაც იყო, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ «მწყემსის» გამომცემელი, რომელიც ხუთ მანეთს გამოგზავნის ქართული გამოცემისათვის, რუსულ გამოცემას მუქთად მიიღებს. სოფლის მასწავლებლებს და ღარიბ ხელის მომწერთა გაზეთი სამ მანეთად დაეთმობათ.

1894 წლის ჩვენი გამოცემის ყველა ხელის მომწერთა დაპირებული საჩუქარი—თამარ დედოფლის სურათი, დეკემბრის დამლევს გაეგზავნებათ.

მომავალი წლის ყველა ხელის მომწერთა «მწყემსი»-ს რედაქცია საჩუქრად დაურიგებს შოთას და დავით აღმაშენებელის დიდ სურათს; შოთას სურათს იანვრიდამ მიიღებენ ხელის მომწერნი და დავით აღმაშენებელისაა წლის ბოლოს.

რედაქციას დამზადებული აქვს კლიშები საქართველოის ეკკლესიის ყველა წმინდანებისა და მომავალს წელს ამათი სურათები მოთავსებულნი იქნებიან ჩვენს გამოცემაში. თითოეულს სურათთან ერთად დაიბეჭდება ბიოგრაფიული და სხვა ცნობებიც მათი მოღვაწეობის შესახებ. სრული დარწმუნებული ვართ, რომ ჩვენი ეკკლესიის ისტორიის კარგად გამოკვლევა, შეგნება და ჩვენი ეკკლესიის წმინდანების ცხოვრებისა, მოღვაწეობისა და სწავლა-მოძღვრების შესწავლა აღაძღლებს ჩვენში სარწმუნოებას და ქრისტიანულ კეთილზნეობას. ამისათვის იმედი გვაქვს, რომ ჩვენი თანამოძმენი არ მოგვაკლებენ თავიანთ ზნეობრივ თანაგრძნობას და დახმარებას, და ეცდებიან, რომ «მწყემსი» გავრცელდეს მათდამი რწმუნებულ სამრევლოთა შორის საერო წოდებაშიაც. დარწმუნებული ვ რთ, რომ მრავალნი მოიპოვებენ ამ გამოცემაში სულიერ საზრდოს და სასარგებლო ცოდნას. ღმერთი იყოს ჩვენი შემწე! ღმერთმან გვიხსნას ჩვენი გონებითი სიბნელისაგან და მოგვანიჭოს ჩვენ განათლება და ჭეშმარიტი კაცობრიული განვითარება!..

რედაქტორი დეკ. დ. ღამბაშიძე.

ჩვენ მომმეთა საეურადღებოდ.

თავდება მეცხრამეტე საუკუნე. ექვსი წელიწადი ღა უკლია ამ საუკუნის შესრულებას. ეს ექვსი წელიწადიც ისე მალე გაივლის, რომ უკან მოხედვასაც ვერ მოვასწრებთ. აბა მივიხედ-მოვიხედოთ კარგად. დავეკითხოთ ჩვენს თავს: რა გავაკეთეთ, რა ვიმუშავეთ? რა შევიძინეთ? რას ეუტოვ ბ ი მომავალ საუკუნეთა საზოგადოებას ჩვენ მოსახსენებლად, ჩვენ სახსოვრად? გადავათვალიერეთ ჩვენი სამწყსონი და შევადაროთ ისინი ძველ საუკუნეთა სამწყოს. რა განსხვავება არის მათში? გვანან ეხლანდელი სამწყსონი ძველი საუკუნის სამწყსოთა სარწმუნოებით და კეთილზნეობით? შეგვიძლია გაბედულად ვთქვათ, რომ ძველი საუკუნის მწყემსთა მხრუნველობაზედ ჩვენი უფრო სასარგებლო და სასიქადულო არის? შეგვიძლია თუ არა ვსთქვათ, რომ ჩვენ უფრო ვმწყსით სამწყსოთა ჩვენ ძველ მწყემსებზე? მომავალი საუკუნე უნებლიეთ მოკვთხოვს პასუხს და ანგარიშს, თუ როგორ მოვქმედებდით, როგორ ვმსახურებდით, როგორ ვმოძღვრობდით ჩვენს სამწყოს და რა კეთილ გზაზედ დავაყენეთ ისინი! რა უნდა მიუგოთ, რა უნდა უპასუხოთ? **რა მიგაგოთ უფალსა?** ჩვენგან მოითხოვენ მეტს, როგორც მეცხრამეტე საუკუნეში მცხოვრებთაგან, რომელთაც მრავალი რამ გვქონდა დატოვებული ჩვენ წინაპართაგან სახელმძღვანელოდ და ჭკუის სასწავლებლად. ჩვენგან მოითხოვენ მეტს, რადგან ჩვენ თავისუფალნი ვიყავით გარეშე მტერთა დევნისაგან და მშვიდობითი და მყუდროებითი ცხოვრებით ვსტკებებოდით. დიაღ, **მყუდროებითი** ცხოვრებით ვსტკებებოდით და ღღესეც ვსტკებებით და ეს არის ჩვენი სავალალოც. ამ შვიდობით და მყუდროებით ცხოვრებაში ჩვენ მივეცენით ღრმა ძილსა და ამ ძილის დროს ჩვენს ყანებში მაცდური შემოგვეპარა და დასთესა ღვარძლი, რომელიც აღმოცენდა და ცუდი ნაყოფი მოაქვს. ამ ღვარძლის

ნაყოფია ჩვენში ეხლანდელი შურიანობისა, ფარისეველობისა, გაუტანლობისა და ურწმუნოების გავრცელება.

ნუ ვინ ფიქრობს ჩვენგანნი, რომ განერინოს მომავალი საუკუნის საზოგადოების განკითხვისაგან. ნუ ვინ ფიქრობს ჩვენგანნი, რომ იგი შეიბრალონ მომავალი საუკუნის დგმათა, ისინი არ მიაქცევენ ყურადღებას, რომ ზოგიერთებმა მრავალი სიმდიდრე დაუტოვეს შვილთა თვისთა, მრავალი «ჩინები» და «ორდენები» მიიღეს; არც მათ დიდკაცობას და ჩამომაველობას და არც მათ უნაყოფო სწავლას და განათლებას.

ამის გამო ყველანი უნდა ღრმად დავფიქრდეთ, ჩვენო საყვარელნო მოძმენო, ჩვენს მოქმედებაზე და მოღვაწეობაზედ. ყველანი უნდა გულით და სულით ვცდილობდეთ, რომ არ დაუკარგოთ მომავალი საუკუნის საზოგადოებას ის მაინც, რაც გარდმოგვცა ჩვენმა წინაპრებმა. ჭეშმარიტად ესეც დიდ მოღვაწეობად ჩაგვეთვლება, ე. ი. ჭეშმარიტი ქრისტიანული სარწმუნოება და კეთილზნეობა.

ახალი ამბები და შენიშვნები.

15 ნოემბერი

პეტერბურგი. ნევის პროსპექტი და სხვა მახლობელი ქუჩები ძალითვე ხალხით გაიესო. ანიჩკოვის სასახლიდგან დაწყებული საზამთრო სასახლემდის ფანჯრები და აივნები დაღებული იყო. პოლიცია თითქმის ასად სჩანდა. მარტო ცხენოსანი ჟანდარმები და უფროსი მეკარენი გამწკრივებულიყვნენ იმ ქუჩაზედ, სადაც ეტლებს უნდა გაევლო. სახლებზედ ბაირაღები და მორთულობა არა იყო. რა. 12 საათზედ ხელმწიფე იმპერატორი ანიჩკოვის სასახლიდამ გამობრძანდა. ხელმწიფე დიდ მთავარ მიხეილ ალექსანდრეს ძესთან ერთად ღია ეტლში ბრძანდებოდა და ალერსიანად აძლევდა სალამს ხალხს. ხელმწიფის შემდეგ ეტლითვე მობრძანდნენ იმპერატრიცა—დედა და უავგუსტოესი სასძლო. ხალხი აღტაცებით ეგებემოდა. როდესაც ეტლებმა გაიარა, ჯარები ნევის პროსპექტიდგან ყაზარმებში წავიდა და უკან გამობრუნების დროს მთელი გზა ხალხს დაეჭირა. ხალხი თანდათან მრავლდებოდა, ასი ათასამდე კაცს მოეყარა თავი. 2 საათის დასასრულს გაისმა ზარბაზნების ხმა. იმპერატრიცა—დედა დიდი მთავარნა ქსენია ალექსანდრეს ასულთან ერთად პირველი გამობრძანდა საზამთრო სასახლიდგან, რათა ანიჩკოვის სასახლეში მიჰგებებოდა თვით-მპყრობელს შვილს და ახალგაზდა იმპერატრიცას. ასის ათასის კაცისაგან შემდგარი ბრბო დაედევნა უკან იმპერატრიცას და ანიჩკოვის სასახლემდე აღტაცებულის «ურა».თი ეგებებოდა. ხელმწიფე იმპერატორი და იმპერატრიცა ალექსანდრა თეოდორეს ასული საზამთრო სასახლიდგან მეოთხედის საათის შემდეგ გამობრძანდნენ. ახალგაზდა მეფისა და დედოფლის ქუჩაზედ გამობრძანების ამბავი ერთ თვალის დახამხამებაზედ მოეფინა ხალხში და გაისმა შემარყეველი ხმა «ურა», რომელიც საზამთრო სასახლიდგან დაიწყო. მთელს გზაზედ, რომელზედაც უნდა გაევლოთ მათ უდიდებულესობათ, ანიჩკოვის სასახლემდე, ის ეტლი, რომელშიაც ბრძანდებოდა ხელმწიფე და იმპერატრიცა, თითქის ნაბიჯით მოდიოდა. ხალხი შემოერტყა საღლესასწაულო ეტლს და აღტაცებული ესალმებოდა ახლად ჯვარ-დაწერილებს, აღტაცებულს ხალხის ღაღადისზედ იმპერატორი და იმპერატრიცა ალერსიანად აძლევდენ სალამს. ყაზანის საკრებულო ტაძართან მათნი უდიდებულესობანი შეჩერდნენ, რათა თაყვანი ეცათ სასწაულ-მომქმედ ხატისათვის, ხალხი შემოეხვია მეფისა და დედოფლის ეტლს და რაც წინ მიბრძანდებოდნენ, ხალხი უფრო ეხვევოდა, აღტაცებით ეგებებოდა. როდესაც მათნი უდიდებულესობანი ანიჩკოვის სასაალეში შებრძანდნენ, საერო საგალობელის ხმა ქუჩაზედ გაისმა, გალობდა ხალხი და საგალობელს დრო გამოშვებით «ურა»-ს აღტაცებული ძახილი სწყვეტავდა. ხალხის სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა. როდესაც იმპერატორი და იმპერატრიცა ფანჯარასთან მივიღნენ, ჰაერში შეფრიალდა ქუდები,

შლიაპები, ხელსახოცები და ისეთი ალტაცებული ხმა გაისმა, რომ ზარების რეკვა დაჰყრუეს.

ხელმწიფა იმპერატრიცა ალექსანდრა თეოდორეს ასული ლეიბგვარდიის ულანის პოლკის შეფად არის დანიშნული.

პეტერბურგი. უმაღლესი მანიფესტი 14 ნოემბერს: «ვუცხადებთ ყველა ჩვენთა ერთგულ ქვეშევრდომთა: კურთხევითა ღვთისათა დღეს საზამთრო სასახლის საკრებულო ტაძარში სასულიერო და საერო გვამთა თანადასწრებით გარდახდილ იქმნა ქორწინება ჩვენი და საყვარელისა სასძლოისა ჩვენისა, კეთილ-მსახურისა დიდის მთავრინას ალექსანდრა ჰესენის დიდის დუკის, თეოდორეს ასულისა იმ დიდის მწუხარების დროს, რომლითაც აღავსეა გული ჩვენი და რუსეთის ყველა ერთგული შვილისა, იყოსმცა დღე ესე ნათელი მახარობელი ხალხის იმ სასოებისა, რომ უფალი ჩვენთაცა არა მოგვაკლებს წყალობასა თვისსა. დასაწყისსა ახლის მეფობისა ვართ რა იმის ფიქრსა და ზრუნვაში კეთილად ჩავსთვალეთ არა დაგვეყოვნა განხორციელება ჩვენი ღვთის მიერ განსვენებულის მშობლის სურვილისა, რომელიც წმიდა აღთქმაა, ჩვენთვის და მთელის ერისა სასიხარულო მოლოდინისა განამტკიცოსმცა ს იდუმლოება წმიდისა ეკკლესიისამა ქორწინებრივ კავშირი ჩვენი, მშობელთა ჩვენთა მიერ კურთხეული; ყველა ერთგულნი ქვეშევრდომნი ჩვენნი შემოგვიერთდებიან ლოცვათა თვისთა ჩვენთა ლოცვათა, წარმოუვლინოსმცა უფალმა კურთხევა თვისი ესა ჩვენსა და მოგვანიჭოსმცა ჩვენცა რუსეთის საკეთილო იგივე აღუშფოთებელი ბედნიერება, რომლითაც კურთხეულ იყო სახელსა შინა თვისსა დაუვიწყარი მშობელი ჩვენი, მთელის ერის სანუგეშოდ და სანუგეშოდ.

***

სამღვდელოების კრება, რომელიც დანიშნული იყო 23, 24 და 25 ამ ნოემბრის რიცხვს, უკვე შესდგა დანიშნულ დროს. სამღვდელოების კრებამ თავმჯდომარედ აირჩია დეკ. დავით ღამბაშიძე. სამღვდელოებამ, სხვათა შორის, ქუთაისის სასულიერო სემინარიის სასარგებლოდ ოცი ათას მანეთამდე შესწირა ერთ დროებითად. დაწვრილებითი ანგარიში ამ კრების შესახებ იქნება დაბეჭდილი «მწყემსში».

***

ჩვენი სასიქადულო და საყვარელი პოეტი აკაკი, რომელიც მძიმე ავად იყო, დღეს უკვე კარგად არის.

უმაღლესი მანიფესტი.

წყალობითა ღვთისათა

ჩვენ, ნიკოლოზ მეორე,

იმპერატორი და თვით-მპყრობელი სრულიად რუსეთისა,

მეფე პოლონეთისა, დიდი მთავარი ფინლანდიისა

და სხვათა, და სხვათა, და სხვათა,

ვუცხადებთ ყველა ჩვენთა ერთგულ ქვეშევრდომთა:

მივსდევთ რა ჩვენთა გვირგვინოსან წინაპართა აღთქმათა, კეთილად მივიჩნიეთ დღესასწაული ქორწინებისა ჩვენისა ჩინებულ ვყოთ მოწყალებისა და სიყვარულის საქმითა.

I. ვზრუნავთ რა განსაკუთრებით მიწად-მოქმედების აწინდელ არა კეთილ-საიმედო მდგომარეობით, რომელიც შეძლებასა არსებობისას აძლევს იმპერიის მკვიდრთა უმეტესს რიცხვს, და გვახსოვს რა წმიდა სურვილი ჩვენგან უფლის მიერ გაწვეულისა საყვარელისა მშობლისა ჩვენისა, ვბრძანებთ:

1) შემცირებულ იქმნას, ამა წლის ნოემბრის ვადიდგან, სახელმწიფო სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკიდგან გატანილ სესხთა თანხის სამატი სარგებელი $4^1/_2\%$-დგან ოთხამდე წელიწადში.

2) შემცირებულ იქმნას 1895 წლის იანვრის ვადიდგან წლიური შესატანი იმავე ბანკის განსაკუთრებულ განყოფილების მესესხებელთა: ოქროთი ნაანგარიშევ სესხისა—1887 წლის პირველ ივლისისათვის დადგენილ იმათის ყოველ ასს ოქროს მანეთზედ ერთი მანეთი, ხოლო ქაღალდის ფულით ნაანგარიშევ სესხისა—ნახევარ პროცენტი იმათის თავნ ვალიდგან.

3) სათავად-აზნაურო ბანკის განსაკუთრებულ განყოფილების ოქროთი ნაანგარიშევ ვალის გარდახდა, სხვა, აწ მომქმედ კანონ-დებულების მიერ აღნიშნულ საშვალებათა გარდა (სახელმწ. სათავად-აზნ. ბანკის წესდება., პირველ მუხ. დამატ. მე-10

მუხ. მეორე სხოლიო, პპ. 1, 2 და 3), შესაძლებელი იქმნას იმ ფულის შეტანით, რომელიც შესდგება სესხის ვადამდე დაშთენილ ყოველ წლიურ შესატანის გათანხებით, წლიურად რომ ოთხი პროცენტი იყოს ნაანგარიშევი.

4) იმ ვალის გამო, რომელიც აღებულია სესხად სურსათისათვის და მინდვრების სათესლედ, შემდეგი შემსუბუქებანი მიეცეთ:

ა) სრულიად ეპატიოს სესხი, რომელიც უნდა გარდახდეს ხაზინისა და საზოგადო საიმპერიო სასურსათო თანხის სასარგებლოდ და რომელიც გაცემულია ამა თანხის 1866 წ. შედგენამდე, და აგრეთვე ვალი ციმბირის სათავდარიგო პურის თანხისა.

ბ) ეპატიოს ნახევარი ამა დღისათვის გარდუხდელად დარჩენილ იმპერიის საზოგადო სასურსათო თანხისა და ხაზინიდგან აღებულის სესხისა, რომელიც 1866 წ. შემდეგ არის გაცემული.

გ) ეპატიოს ნახევარივე ამა დღისათვის გარდუხდელად დარჩენილ სესხისა, რომელიც გაცემულია, 1891 და 1892 წწ. მოუსავლიანობისა გამო, იმპერიის საზოგადო სასურსათო თანხიდგან, გუბერნიისა და საზოგადოების სასურსათო თანხებიდგან იმ გუბერნიებში, რომელიც მოხსენებულია 1893 წლის 20 ივნისის და 1894 წლის 8 აპრილის ბრძანებანში, და აგრეთვე ყაზახთა ჯარის თანხებიდგან გაცემულიცა.

5) ამის დამოუკიდებლად შეუმსუბუქდეს ეს ვალი, რომელიც მოხსენებულია ამა მუხლის 1-ლ ვალებზს ბ-ისა და გ-ის მე-4 პუნქტში, მკვიდრთა უფრო გაჭირვებულს ნაწილს, იმ რაოდენობით, რა რაოდენობაც შესაძლებელი იქნება დანახული ფინანსთა მინისტრის ჯეროვან სამინისტროებთან მორიგების შემდეგ.

6) იმ ფულით, რომელიც ხაზინაში უნდა შემოვიდეს მინდვრების სათესლე და სურსათის სესხის ვალის გარდასახდელად, ამა I მუხ. მე-4 და მეხუთე პუნქტ. აღნიშნულ პატიებისა გამო, შევსებულ იქმნას ნაწილი სურსათის თანხიდგან აღებულ სესხისა: იმპერიის საზოგადო, გუბერნიისა, საზოგადოებათა და აგრეთვე ყაზახთა ჯარის თანხებისა, იმ ფულთა გარდა, რომელიც ეკუთვნება იმპერიის საზოგადო სურსათის თანხას 1866 წლამდე გაცემულ სესხისა, ნახევრად შესაკრებელისა.

(შემდეგი იქნება).

მოვალეობანი კაცისა. *)

(ჩვენი ზოგიერთი ვაჟ-ბატონების საყურადღებოდ, რომელნიც სარწმუნოების საქმეში დაუდევრობას იჩენენ).

რამოდენიმე რჩევა.

მოხუცებულ პირთა და წინაპართადმი პატივისცემა

პატივიეცი ყოველ მოხუცებულ კაცს, რომელიც წარმოგიდგენს შენი მშობლების და წინაპართა სახეს. ყოველი პატიოსანი კაცის თვალში მოხუცებულობა პატივსაცემია.

სპარტანლებს ჰქონდათ წესი, რომლის ძალით ახალგაზდები ვალდებულნი იყვნენ ფეხზე ამდგარიყვნენ მოხუცებული კაცის შემოსვლის დროს, დაჩუმებულიყვნენ, როცა მოხუცებული კაცი ლაპარაკს დაიწყებდა და როცა ახალგაზდები მოხუცებულთ წინ შეხვდებოდნენ, გზა უნდა დაეცალათ მათთვის. სასურველია, რომ ყოველივე ეს დღესაც ასე სრულდებოდეს ჩვენში. მართალია ამას კანონი არ გვავალებს, მაგრამ ამას ითხოვს პატიოსნება და ზრდილობა.

მოხუცებულობისადმი პატივისცემაში ისეთი ზნეობითი სიმშვიდე იხატება, რომ ისინიც კი, რომელთაც ეს წესი არა სწამთ, უნებლიეთ პატივსა სცემენ მათ, რომელნიც ამ წესს ასრულებენ, ესე იგი მოხუცებულებს თავაზიანობით ეპყრობიან.

ერთი მოხუცებული ათინელი ოლიმპის სათამაშოზე, როცა თეატრის ყველა დასაჯდომი ადგილები დაჭერილი იყო, დასაჯდომ ადგილს ეძებდა თავისთვის. ახალგაზდა ათინელებმა, რომელნიც იქვე ახლო ისხდენ, დაუძახეს მოხუცებულს და, როცა მოხუცი დიდის გაჭირვებით მივიდა მათთან, ნაცვლად მისა, რომ ამ კაცისათვის ადგილი დაეთმოთ, სიცილი დააყარეს მას; საწყალი მოხუცი იმ ადგილს მივიდა, სადაც ახალგაზდა სპარტანლები ისხდენ. უკანასკნელნი თავისი ქვეყნის წმინდა ჩვეულებისა მებრ, თავმდაბლად ადგნენ და ამ

*) იხ. «მწყემსი»-ს № 17 1894 წ.

მოხუცებულს თავის ახლოს მისცეს ადგილი. ათინელები, რომელთაც ის იყო სიცილი დააყარეს მოხუცებულს, გააოცა იმათ მოწინააღმდეგეთა ასეთმა საქციელმა და ყოველის მხრით მოისმა ქების ხმა. მოხუცებულს ცრემლები გადმოდინდა თვალებიდგან. «ათინელებს ალბათ ესმისთ, სთქვა მან, ის თავაზიანობა, რომელიც მე მიყვეს სპარტანელთა.

ალექსანდრე მაკედონელი (აქ კი მართლა შეიძლება უწოდოთ მას დიდი) იმ დროსაც კი, როცა მან რამოდენიმე გზის გაიმარჯვა და ამ გამარჯვებამ კიდეც გაამპარტავნა იგი, ყოველთვის პატივისცემით ეპურობოდა მოხუცებულთ.

ერთხელ ლაშქრობის დროს მას გზა შეეკრა დიდმა თოვლმა; ალექსანდრემ ბრძანა, ცეცხლი აენთოთ; როცა ცეცხლზე თბობა დაიწყო, მან თავის მხედართ შორის დაინახა ერთი ძლიერ მოხუცებული კაცი, რომელიც სიცივისაგან თრთოდა. ალექსანდრე მაშინვე მივიდა ამ მოხუცებულთან და იმ უძლეველი ხელებითვე, რომლითაც მან დაამხო დარიოსის ტახტი, აიყვანა მოხუცებული და თავის ალაგზე დასვა იგი.

განსაკუთრებით დიდ პატივს უნდა ვსცემდეთ ჩვენ იმ მოხუცებულთ, რომელნიც ჩვენი ახალგაზდობის დროს ცდილობდენ ჩვენს აღრზდას და თავის შეძლებისა დაგვარ ცდილობდენ ჩვენს გონებით განვითარებას.

ჩვენ ეალდებ ელნი ვართ მოწყალებით მოვეპურათ ჩვენ წინაპართა ნაკლულევანებათ და მუდამ უნდა გვახსოვდეს, თუ რამდენი შრომა გასწიეს მათ ჩვენზე, და რა სიყვარულობა გამოიჩინეს ჩვენზე და ან რა ნუგეშს უნდა მოელოდნენ იგინი შემდეგში ჩვენი სიყვარულისაგან. ვინც ახალგაზდობის აღრზდას ჭკიდებს ხელს, ის თავის დღეში ვერ დაჯილდოვდება ღირსეულად ფულით მისი შრომისათვის. იმისი შრომა არა ჭგავს მოჯამაგირის შრომას, არამედ აღმზრდელი მოადგილეა დედ-მამისა.

ჩვენ შესაფერი მორჩილებით უნდა ვექცეოდეთ მათ, რომელნიც ჩვენზე უფროსნი არიან, ვინაიდგან თვითონ ბუნებამ დააყენა ისინი ჩვენ უფროსად.

ჩვენ შვილური პატივისცემით უნდა ვეპურობოდეთ ყველა იმ პირთა ხსენებას, რომელთაც სარგებლობა მოუტანეს სამშობლოს, ანუ მთელს კაცობრიობას. ამ პირთა ნაწარმოებთ, სურათებს და სასაფლაოებს ყოველთვის პატივისცემით უნდა ვექცეოდეთ ჩვენ.

როცა წარსულ საუკუნოებს თვალს გადავავლებთ, შევამჩნევთ, რომ ეხლანდელი დროის ბევრი არა სანატრელი მოვლენანი შედეგნი არიან წარსული დროის შეცდომათა და ვნებათა; რასაკვირველია, ყოველივე ეს სამწუხარო, მაგრამ ჩვენ ნება არა გვაქვს ამისათვის სასტიკად მოვიხსენოთ ჩვენი წინაპარნი, არამედ მოწყალებით უნდა მოვეპურათ მათ.

იგინი ხშირად მართავდენ ომებს, რომელიც დღეს ჩვენ აღარ მოგვწონს, მაგრამ ჩვენი წინაპარნი, შეიძლება, იძულებულნი იყვნენ ეომნათ, მაგრამ ეხლა ამის ჯეროვანად დაფასება ჩვენ არ შეგვიძლია, ვინაიდგან ყოველივე ეს, დიდი ხანია, რაც მოხდა.

მართალია, ჩვენი წინაპარნი ხშირად გარეშე ხალხს მიმართავდენ ხოლმე შემწეობისათვის, რასაც სამწუხარო შედეგი ჰქონდა ხოლმე; მაგრამ შეიძლება ამ შემთხვევაშიაც თავის გასამართლებელი ჰქონდათ მათ, შეიძლება ამას სჩადიოდნენ იგინი ან საჭიროებისა გამო და ან შეცდომით?

ჩვენი წინაპარნი აარსებდენ დაწესებულებათ, რომელნიც დღეს ჩვენ აღარ მოგვწონს, მაგრამ

იმ დროს კი ევებ ეს დაწესებულებანი კარგები იყო. შეიძლება ეს დაწესებულებანი იმ დროს საუკეთესონი იყვნენ, რის გამოგონებაც კი შეეძლო კაცის გონებას მაშინდელი საზოგადოების მდგომარეობის დროს.

კრიტიკა უნდა იქმნეს სასტიკი და მასთან კანონიერი იმათ შესახებ, რომელთაც არ შეუძლიათ ადგენ საფლავებიდან და სთქვან: „შვილებო, შვილებო! ჩვენი მოქმედების დროს ჩვენ ამა და ამით ხელვმძღვანელობდით!» მოიგონეთ კატონ უფროსის შესანიშნავი სიტყვები: ძნელია გააგებინოთ ახალ დგმას ის, რაც იმათ წინაპართ თავიანთი მოქმედების დევიზათ ჰქონდათ და რასაც შეეძლო იმათ მოქმედებათა გამართლება».

ძმური სიყვარული,

ყოველივე ძალა სიყვარულისა, რომელიც შენ უნდა გქონდეს მოყვასთადმი, მიაპყარ პირველად შენს დედ-მამას, ხოლო შემდეგ იმათ, რომელთანაც შენ უფრო ახლო დაახლოვებული ხარ, რომელთაც შენთან ერთად ჰყავსთ საერთო დედმამა,—შენს ძმებს და დებს.

რომ შეიგნო, თუ როგორ უნდა შეიყვარო კაცი, ამისათვის სიყვარულის შესწავლას უნდა შეუდგე შენს ოჯახობაშივე.

რამდენად სასიხარულო და სანუგეშო უნდა იყოს სიტყვები: «ჩვენ ერთი დედის შვილები ვართ.»

რა სასიამოვნოა, როცა ჩვენს ძმებთან ერთად გვაქვს საერთო საგნები, რომელთაც ერთად ვეტრფით. სისხლის ერთობა და ჩვეულებათა მსგავსება ამტკიცებს ძმებსა და დებს შორის შინაურ კავშირს, რომელთა აღმოფხვრა შეუძლია მხოლოდ საძაგელს თავმოყვარეობას.

თუ გინდა კარგი ძმა იყო, ერიდე თავის მოყვარეობას. ეცადე ყოველთვის მოწყალებით მოეპყრა შენს მახლობელ ნათესავებს. თვითეული მათგანი ცხადათ უნდა ხედავდეს, რომ მათი სიკეთე ისე გსურს შენ, როგორც შენი საკუთარი. შენი ძმების და დების ნაკლულევანებათ უფრო მომეტებული მოწყალებით უნდა ეპყრობოდე, ვინემ გარეშე პირთა ნაკლულევანებათ. გიხაროდეს მათი კეთილ-მოქმედება, მიბაძე მათ, და ამავე დროს ეცადე, რომ მათთვის მაგალითი იქმნე. ისინი უნდა ადიდებდენ შემოქმედს, რომ მან შენისთანა ძმა მიანიჭა მათ.

ძნელია ჩამოთვლა ყველა იმ შემთხვევათა, რომელნიც საშუალებას გვაძლევენ უფრო მომეტებულად გავაორკეცოთ ძმური სიყვარული. მაგრამ მაინც დროა ყურადღებით ვეძიებდეთ იმისთანა შემთხვევას, როდესაც შეძლება გვეძლევა ეს სიყვარული გამოვხატოთ, თორემ შეიძლება ასეთმა შემთხვევამ შეუმჩნევლად ჩაიაროს.

კორრესპონდენცია «მწყემსი»-სა.

შორაპნის მაზრიდან.

თუმცა სახალხო სკოლებით შორაპნის მაზრა არასოდეს არ ყოფილა მდიდარი, მაგრამ სამრევლო სკოლებით მაინც კმაყოფილი იყო ხალხი. 1860 წლიდან 1870 წლამდე ყოვლად სამღვდელო იმერეთის ეპისკოპოსის განკარგულებით ბევრ ადგილას გაიმართა სამრევლო სკოლები და ჩინებულად ასწავლიდენ ამ სკოლებში ბავშვებს. დაარსდენ აგრეთვე სახალხო სკოლებიც. სამრევლო სკოლების მოწინააღმდეგენი ადრეც იყვნენ და ეხლაც არიან, თუმცა მათი წინააღმდეგი და უკანონო აზრი არა მარგებელია საზოგადოებისა და მთავრობისაცა....

დიდმა დრომ არ განვლო, რაც ბედმა გაუღიმა სამრევლო სკოლებს. წარსულ წელში ორმოცდა ცხრა სკოლა იყო ამ მაზრაში. მაგრამ დღეს ისევე ცუდი დრო უდგება ამ სკოლებს. სხვაზედ არაა ვიტყვით, მაგრამ არ მჯერა, რომ სამრევლო სკოლას ისეთი მტერი ყოლოდეს ოდესმე, როგორისთანა მტერობას იჩენს ერთი პირი. სამს სამრევლოში: ვარძიაში,

კიცხში და ლახუნდარაში, კარგი ხანია, სამრეველო სკოლები არსებობენ. ეს პირი რამდენჯერმე შეიდა კიცხის საზოგადოებაში და ამ სამივე სამრეველოის გლეხები შეკრიბა და ურჩია, რომ სახალხო სკოლა დაეარსებინათ. ბევრი იწინააღმდეგეს გლეხებმა, ჩვენ-ჩვენ ეკკლესიაზედ გვაქვს სამრეველო სკოლებიო, მაგრამ არ შეიწყნარა მათი განცხადება. «თქვე საწყალეშო, ეუბნებოდა იგი გლეხებს, ნუ თუ არ იცით, რომ პრიჩეტნიკების და დიაკვნების სკოლიდან ხეირი არა გამოდა? საეკკლესიო სკოლაში რა უნდა ისწავლოს კაცმა დავითნის და ჟამნის მეტი? როგორ არ იცით ის, რომ თქვენი შვილები ცდებიან იქ ტყუილად და არაფერს არ სწავლობენ»...

ამისთანა და სხვა ღარეული საწინააღმდეგო სიტყვები სამრეველო სკოლების შესახებ მრავალგზის გაუმეორებია ამ ბატონს, მაგრამ ხალხი მაინც ვერ დაუთანხმებია. ბოლოს გამოუცხადებია და შეუდგენია ხალხისათვის «პრიგოვორი» და სწვეია თავის სურვილს. ხალხი დაბეგრეს თითო მანეთით. ამ ნაირად სკოლას შეუვა თითქმის 600 მ. სკოლის შენობა თუმცა არ არის, მაგრამ სწავლა სიჩქარით დაიწყეს სასოფლო კანცელარიის ერთ ოთახში და ბავშვებიც შეკრიბეს. ამ ნაირი ქადაგებით სამივე სამრეველო სკოლები დაიხურა. საზოგადოებას თუ ფულები, როგორც ეხლა, პოლიციის ძალით გადაახდევინეს, ორ ადგილას როგორ შეიძლებს ფულების გარდახდას შვილის გამოსაზრდელად. მაგრამ ჩვენ ამ შემთხვევაში მხოლოდ ის გვაკვირვებს, როგორ უნდა გარდაიხადოს კაცმა სკოლისათვის ფულები, თუ ის ამ საზოგადოების სკოლას სრულებით დაშორებულია და მით სარგებლობა არ შეუძლია? დიაღ, ბევრი სამწუხარო რამ ხდება მიყრუებულ სოფლებში, მაგრამ ვინ გაიგებს და ვინ შეიტყობს? ჩვენის აზრით, როდესაც საზოგადოებისაგან მაინცა-და-მაინც განჩინების დადგენას თხოვილობენ რაიმე საგანზედ, რიგია ამ განჩინების დადგენილობის დროს დაესწრონ მომრიგებელი შუამავლები ან ვინმე სხვა და არა ისეთი პირები, რომელნიც ნიადაგ ჩასძახიან გლეხებს: «თუ ჩემს ნებაზედ არ გაიარეთ, იცი რას გიზამთ?» და სხვა.

ჩვენ სრულებით არა ვართ წინააღმდეგი სახალხო ან სამინისტრო სკოლებისა, მაგრამ დიდი ხანია გამოცხადებულია მთავრობისაგან, რომ თუ ერთ ადგილას არის სკოლა, მეორე არ უნდა გახსნან იმ მიზნით, რომ პირველი დახურონ...

X.

როგორი მღვდლები იყვნენ ძველ დროში?

თქვენი პატივცემულის «მწყემსი»-ს წარსული წლის ერთ ნომერში აღწერილი იყო ცხოვრება და მოღვაწეობა განსვენებულის მამა გიორგი დუმბაძისა. მ. გ. დუმბაძე, როგორც იმ წერილისაგან სჩანდა, ყოფილა მტკიცე და შეურყეველის ხასიათის კაცი, ზედმიწევნით მცოდნე სამშობლო ენაზედ საღმრთო წერილისა და გალობისა; განსვენებულის სახლის კარები მუდამ ღია ყოფილა სწავლის მსურველთათვის. მამა გიორგი თურმე მუდამ ზრუნავდა თავის მრევლის სულიერი და ხორციელი კეთილდღეობისათვის. ამგვარნი მოღვაწე მამები, როგორც სამღვდელოთა ისე საერო წოდებაში წარსულს საუკუნოებში იშვიათი არ ყოფილა. მეოთხე საუკუნიდამ ქრისტეს განხორციელებისა, ვიდრე მეცხრამეტე საუკუნემდე, ჩვენი სარწმუნოება მტკიცედ დაცული გადმოეცა ჩვენს ახალთაობას. მამა გიორგი დუმბაძე მტკიცედ მდგარა სარწმუნოებაზედ, და ერთგულად უსრულებია თავისი მოვალეობა. ამისთანა კეთილი მოღვაწე მოძღვარი, სხვათა შორის, იყო დ. ხონის საკათედრო ტაძრის დეკანოზი ანტონ ქუთათელაძე, რომელიც გარდაიცვალა 1856 წელს აპრილის თვეშიდ, სამოცი წლისა შობიდამ. მამა ანტონი ქართულს ენაზედ კარგი მცოდნე იყო საღმრთო წერილისა და გალობისა. მ. ანტონ ქუთათელაძეს პირველად უსწავლია მამასთან, შემდეგ გელათის მონასტერში დაუმთავრებია სწავლა. დიაკვ-

ნად ხელი დაუსხამს განსვენებულს იმერეთის მთავარ-ეპისკოპოსს სოფრონის და რამდენსამე წელს პირველ დიაკონად უმსახურნია მათ მეუფებასთან. შემდეგ სოფრონისგანვე კურთხებულა მღვდლად და დანიშნულა ხონის სობოროს ეკკლესიის მღვდლად. მამა ანტონი 1838—1839 წლებშიდ მისიონერად იყო გაგზავნილი მთავრობისაგან სვანეთში, რომ ხალხისათვის შეეგონებია და ესწავლებია ქრისტეს სარწმუნოება. თუმცა მაშინ ძლიერ საშიშო იყო სვანეთში მოგზაურობა, რადგან სვანებს ამ დროს ქრისტიანობა სრულიად არ ჰქონდათ მიღებული. მ. დეკანოზი ანტონი ორგზის ჩერქეზთ წინააღმდეგ ომში იყო გაგზავნილი, რომ სამღვდელო სამსახური აღესრულებია ჯარისათვის ჯარის სარდლად ყოფილის გ. წერეთლის მეთაურობით. ამგვარის მისის სამსახურისათვის მ. ქუთათელაძე დაჯილდოვებული იყო დეკანოზობის ხარისხით, კამილავკით, მკერდის ჯვრით, ენქერით, და ყოველწლობით იღებდა ასს მანეთს პენსიას, 1849 წელშიდ განსვენებულის დავით მიტროპოლიტის განკარგულებით ბლაღოჩინობა მიიღო, და იმავე დროს საეკკლესიო მამულების გამგებლის თანამდებობას ასრულებდა. განსვენებული კარგის და მტკიჯე ხასიათის კაცი იყო. იგი დაუზარებლად ასრულებდა თავის სამღვდელო მოვალეობას; იგი მარტო მისის მრევლის საყვარელი და პატივისმცემელი კი არ იყო; მას ბევრნი გარეშე სოფლის თავად-აზნაურნი, სამღვდელო და საერო პირნიც პატივსა სცემდენ და მოძღვრად იწვევდენ. მამა ანტონს თავის ცოლშვილი და სახლკარობა თითქმის ერთის ვერსის მანძილზედ მოშორებით ჰყავდა, მაგრამ განსვენებული უმეტეს დროს ეკკლესიაზედ თავის ატარებდა და უმეტესი ყურადღება ამაზედ ჰქონდა მიქცეული, რომ მას უსათუოდ ყოველს დღეს წირვა-ლოცვა თავ-თავის დროზედ უნდა ესრულებინა. დილით, როცა ცისკრის ლოცვას ილოცავდა და ეკკლესიიდამ გამოვიდოდა, მაშინვე მოსწავლე ბავშებს გვერდით მოუსხდებოდა და ასწავლიდა მათ საღმრთო წერილს, წერა-კითხვას და გალობას. მუდამ ორმოცამდის მოსწავლე ბავშები და ზოგჯერ მომეტებულიც იყვნენ მასთან. მამა დეკანოზს ანტონს გლახაკების, უცხო და უბინაო კაცის ბილება, მათი სმა და ჭამა ძლიერ უყვარდა და სასიამოვნოდ მიაჩნდა. მუდამ დღე სამი ხან ოთხი გლახაკი საზრდოობდა მ. ანტონის სახლში და ტანისამოსიც ეძლეოდათ მისგან. მისი სახლის კარები მუდამ ღია იყო მშიერ-მწყურვალის და უშემწეო კაცისათვის. საუკუნოდ იყოს ხსენება შენი, დეკანოზო ანტონი.

სოფლის მღვდელი.

ჟურნალ-გაზეთებიდამ.

უკვლგან რუსეთსა და კერძოპაში, შეიძლება გსთქვათ მთელი ქვეყნის ზრუგზედაც-კი, მთელი ჟურნალ-გაზეთობის ყურადღება მიბურობილი აქვს რუსეთის იმპერატორის 20 ოქტომბრის უმაღლესს მანიფესტს. უკვლას ულვიის გულში ის იმედი, რომ ახალი მეფე განხორციელება იქნება მშვიდობიანობისა; ამ იმედს ამყარებენ თვით ხელმწიფის სიტყვებზე, რომელმაც განაცხადა, რომ ჩემის მეფობის უპირველესს მოვალეობად მიმაჩნია ის საქმე, რომ ძვირფასი სამშობლო სწარმატებდეს მშვიდობასა შინა. მშვიდობასა შინა წარმატება რუსეთისა, რომელიც დაიწყო განსაკუთრებით ბედნიერებით ბედნიერებით რის შემდეგაც რუსეთი საკმაოდ განვითარდა მოქალაქეებისა და განათლების მხრივ, და ცხოვრებაში კვალი გაიტანა გრძნობამ კანონიერობისამ და თვით-მმართველობისამ. საკვლისხმოა, რომ რუსეთი განაგრძობს ამ გზით სვლას და ისეთი ცვლილებანი იქმნება შემოღებული, რომელიც შეეფერება ქვეყნის აწინდელს მდგომარეობას და დროს. დიდი ყურადღება გამოიწვია აგრეთვე მანიფესტში გამოთქმულმა სიტყვებმა, რომ მზად კარ ხელი შეეშველოთ ყველა ერთგულ ქვეშევრდომთა ბედნიერებასა, ესე იგი რუსეთის მკვიდრთა წოდების, ეროვნებისა და სარწმუნოების განურჩევლად. ასეთი მზრუნველობა ერთის რუსეთის ოჯახის შვილა წევრთათვის აშკარად ჩანს, რომ ხელმწიფეს განუზრახავს ყურადღება მიაქცეოს ძრავალ მილიონიან ხალხის მკვიდრთა სიჭირეობას, ეცადოს მისის ქონებრივის კეთილდღეობის აღდგენას და განამტკიცოს მკვიდრთა შორის განათლება და დაურღვეველი კანონიერობა. მთელი რუსეთის წარმატებისა და ძლიერების წინდი იმაში, რომ მუშათ უმრავლესობა

კეთილდღეობაში იყოს, ერი განათლდეს და უანგარო მართლ-მსაჯულება ჰქონდეს. მეორე მხრივ, ის ამბავი, რომ მთავრობა იზრუნებს ყველასათვის, აშკარად ჰხდის, რომ აქ იგულისხმებიან ყველა ეროვნებანი, რომელნიც რუსეთის სამფლობელოში სცხოვრობენ და ერთს მთელს სახელმწიფოს შეადგენენ. ყველა ისინი ეხლა ერთის სახელმწიფოს წევრნი არიან, ერთის სახელმწიფო აზრით შეერთებულნი, მაგრამ თითოეულს მათგანს თავისი განსაკუთრებული თვისებანიც აქვს და განსხვავდება რუსეთისაგან კულტურისა, ენისა, სარწმუნოებისა და ზნე-ჩვეულების მხრივ; ყოველი ამათი ბედნიერება იმაში მდგომარეობს, რომ შეთანხმებული იყოს საზოგადო სახელმწიფოს ინტერესები იმათ განსაკუთრებულ სულიერ და ქონებრივ საჭიროებასთან. აქ უწინარესი ყურადღება უნდა მიექცეს სხვა-და-სხვა ეროვნების ხალხს, რომელთა კეთილდღეობა საუკეთესო და უჭეშმარიტესი მაჩვენებელია საზოგადო სახელმწიფოს კეთილდღეობისა. რაც უფრო განათლებული და ქონებრივად უზრუნველ-ყოფილი იქნება ერი, მით უფრო მკვიდრად მოიკიდებს ფეხს გრძნობა განათლებისა; მით უფრო ადვილად შეიძლებს ერი კულტურისა და მოქალაქეობის გზით სვლას, მით უფრო განმტკიცდება და გაცნობიერდება ურთიერთობა და ერთობა უფლებასა და ერს შორის, და სახელმწიფოს ძლიერების საფუძველი-კი სწორედ ეს არის.

ყელის ტკივილის სნეულების ახალი წამლობა აცრით.

ყველამ კარგათ იცის, თუ რა საშიშარი სნეულებაა ყელის ტკივილი. ამ სნეულებით აუარებელი ბავშვები იხოცება. ექიმები, დიდი ხანია, ცდილობენ, რომ როგორმე აცრით შეემსუბუქებიათ ეს სნეულება, რომელიც მუსრს ავლებს ბავშვებს. დიდი მეცადინეობის შემდეგ ამ ბოლოს დროს გამოიგონეს უებარი საშუალება, აცრით ექიმობა. მოგვყავს ზოგიერთი ცნობა ამ საგნის შესახებ გაზეთებიდამ: «ყელჭირვებას გამოიწვევს ერთგვარი ბაცილა, რომელიც გაჩნდება ხოლმე სასაში. აქედგან რომ ბაცილები აიღონ და წვენში ჩასდონ, ძლიერ მალე გამრავლდება. ამ ბაცილებით შეიძლება პირუტყვს აუცრან და ისიც ყელჭირვებით გახდება ავად. ის წვენი, რომელშიაც ბაცილები გამრავლდა, ფილტრის შემწეობით რომ გაიწურონ, შიგ, რასაკვირველია, ბაცილები აღარ დარჩება, მაგრამ შხამით იქნება მოწამლული და რომელსამე პირუტყვს რომ შეუშხაპონონ, წამსვე მოკვდება. ამ წვენში არის ის შხამი, რომელიც მიზეზია ავადმყოფობისა.

თუმცა ეს ავადმყოფობა მეტად საშიშია, მაგრამ ყოველთვის არა ჰკლავს ავადმყოფს და ხანდახან რჩება.

ექიმები იღებდნენ ზემოხსენებულ ბაცილების შხამს და ისე ცოტას უშხაპუნებდნენ პირუტყვს, რომ არ მომკვდარიყო. მეორედ მომეტებულს უშხაპუნებდნენ; შემდეგ თანდათან ამ შხამის ძომატებაც შეიძლება. პირუტყვის სხეული თანდათან ეჩვევა ამ შხამს და ბოლოს იმდენს შხამს იტანს, რომელსაც ვერ გადურჩებოდა, პირველად რომ შეეშხაპუნებინათ. ამ გვარად ექიმები იმ აზრს დაადგნენ, რომ ყელჭირვების აცრა შესაძლებელიაო. საჭირო იყო მხოლოდ ეს წამალი ეცადნათ ადამიანზედაც, რასაკვირველია, დიდის სიფრთხილით. ამიტომ 1894 წლის 1 თებერვლიდგან პარიზის ორს სამკურნალოში დაიწყეს ყელჭირვებით ავადმყოფ ბავშვების წამლობა. ერთ სამკურნალოში ბავშვებს ახალის წამლით სწამლობდნენ, ხოლო მეორეში—ჩვეულებრივად. ამ გვარად შესაძლებელი იყო შეედარებინათ ერთმანეთისთვის ორივე წამლობა. მეორე სამკურნალოში 24 ივლისამდე მიიყვანეს ყელჭირვებით ავადმყოფი 520 ბავშვი, ამათში გარდაიცვალა 316 ე. ი. 60%; ხოლო პირველ სამკურნალოში მიიყვანეს 448; ამათში გარდაიცვალა 109, ე. ი. 24,5%.

უფრო საყურადღებოა რიცხვი იმ მორჩენილ ავადმყოფთა, რომელთაც ყელჭირვება მხოლოდ სასაში ჰქონდათ დარჩენილი და მთელს სხეულს არ მოსდებია. 1891—2 წლებში ექიმები Martin და Chaillou სწამლობდნენ 91 ავადმყოფს; მათ შორის გარდაიცვალა 38, ე. ი. 41% 1894 წელს იგივე ექიმები სწამლობდნენ 120 ავადმყოფს და მათ შორის მხოლოდ 9 გარდაიცვალა; ამას ისიც უნდა დავსძინოთ, რომ გარდაცვალებულთა შორის 7 უკვე უიმედოდ იყო, როცა სამკურნალოში მიიყვანეს.

ამ ცნობებიდგან სჩანს, რომ ყელჭირვების მორჩენა მართლა შესაძლებელი ყოფილა.

სახალხო საკითხავი მოთხრობა დაბადებიდან

(ბიბლიიდან)

იოსებ მშვენიერი.

(დასასრული *).

შიმშილი თან-და-თან ძლიერდებოდა. ეგვიპტიდამ მოტანილი პური უკვე დახარჯეს. იაკობმა ხელმეორედ დააპირა შვილების ეგვიპტეში გაგზავნა. ამის გამო იუდამ უთხრა მამას, ჩვენ, მხოლოდ მაშინ შეგვიძლია წასვლა, თუ ბენიამენს გაგვატანთ; უიმისოდ ჩვენ წასვლა არ შეგვიძლია, რადგანაც იმ ქვეყნის უმფროსმა გვითხრა, თუ უმცროსი ძმა არ მოიყვანეთ, ისე არ მეჩვენოთო. ამაზედ იაკობმა უთხრა შვილებს: რათ მიყავით ამისთანა უბედურება, რათ გაუმხილეთ იმ კაცს, რომ კიდევ უმცროსი ძმა გყავთ? ჩვენ არ გვეგონა, თუ ის კაცი ბენიამენს მოგვთხოვდა, მიუგეს შვილებმა. მან გამოგვკითხა ჩვენ ამბავი დედამამის, ძმების, მთელი ოჯახობის შესახებ და აი ჩვენ ბენიამენზედ უთხარით. ამასთანავე იუდამ უთხრა მამას: გაგვატანე ბენიამენი და თუ უკანვე ვერ მოგიყვანოთ, მე მომთხოვე იგი, მე ვიქმნები მისი პასუხის მგებელი და მთელ სიცოცხლეშიაც შენ წინაშე დამნაშავეო. ჩვენ წავალთ, საჩქაროთ პურს ვიყიდით და დიდიან-პატარაიანთ შიმშილით სიკვდილს გადავრჩებით, აღარ დავიხოცებითო. იაკობმა უთხრა შვილებს: თუ ასე იქმთ, აი გამიგონეთ: წაიღეთ თან ამ ქვეყნის საუკეთესო ნაყოფი: მური, თაფლი, საკმეველი, ნუშის კაკლები; წაიღეთ აგრეთვე ვერცხლი პურის სასყიდლათ და ის მოყოლილი ვერცხლიცა, შეიძლება იგი გაუფრთხილებლობით გამოგაყოლეს ტომრებში; წაიყვანეთ ბენიამენიც და მიგვარეთ იმ კაცს. ყოველის შემძლებელი ღმერთი შეგეწევათ, თქვენ ის კაცი შეგიბრალებთ და ბენიამენს და სიმონსაც გამოგატანსთ. მე კი, თუ უშვილოთ დავრჩები, დავრჩეო. შვილები მამის რჩევისამებრ მოიქცნენ და გაემგზავრნენ ეგვიპტეში.

გაიგო თუ არა იოსებმა ძმების ხელმეორედ ეგვიპტეში მოსვლა, ბრძანა, იგინი თავის საკუთარ სახლში შეეყვანათ და საღილიც მოემზადებინათ. როცა ისინი იოსებისას შეიყვანეს, ძრიელ შეშინდნენ და ერთმანეთს წასჩურჩულეს: აი ამას გაყოლილი ვერცხლისათვის გვიშვრებიან; ეხლა ჩვენ ჩაგვაცივდებიან ამისთვის, მერე შეგვიპყრობენ და ყველას მონებად გაგვხდიან. მაგრამ იოსების სახლის მმართველმა მათ სიმონი მოუყვანა და ამით დაამშვიდა ისინი.

შუა დღეზე იოსები შინ მოვიდა, სადაც ძმები შიშით და მოუთმენელად ელოდებოდნენ. ძმებმა იოსებს მიწამდი თავი დაუკრეს და საჩუქარიც მიართვეს. იოსებმა ძმებს ალერსიანი მუსაიფი დაუწყო: თქვენი მოხუცებული მამა ხომ მშვიდობით არის? ხომ ცოცხალია? ჰკითხა იოსებმა ძმებს. მათ კიდევ თავი დაუკრეს და მიუგეს: შენი მორჩილი მონა, მამა ჩვენი ისევ ცოცხალია და მშვიდობით გახლავს. მერმე იოსებმა თავის ტანის ძმას ბენიამენს თვალი გადაავლო და ძმებს ჰკითხა: ეს არის თქვენი უმცროსი ძმა, რომლის შესახებაც მელაპარაკებოდით? ჰო, ღმერთი იყოს შენი მწყალობელი, ძმაო ჩემო! უთხრა იოსებმა ბენიამენს და საჩქაროდ გავიდა სხვა ოთახში, რადგანაც ძმის სიყვარულმა გული აუღელვა და ტირილი მოერთო. დაათავა თუ არა ტირილი მეორე ოთახში, იოსებმა დაიბანა პირი, გამოვიდა ძმებთან და ბრძანა საღილი მოეტანათ. იოსები ერთ სტოლზე და ძმები სხვა სტოლზე დააჯინა. მოსამსახურეებმა იოსების ძმები უმფროს-უმცროსობის მიხედვით რიგზედ დააჯინეს; ეს ძმებს ძლიერ გაუკვირდათ. მოსამსახურეებს სხვა-და-სხვა საჭმელები მოჰქონდათ სუფრაზედ; ყველამ რიგიანად სვა და ჭამა.

შემდეგ იოსებმა თავის სახლის გამგეს უბრძანა გაეესოთ ტომრები პურით და პურის სასყიდლათ მოტანილი ვერცხლი ეხლაც ტომრებშიე ჩაედვათ. ამასთანავე უბრძანა, რომ ბენიამენის ტომარაში იოსების თასი ჩაედვათ. როგორც ნაბრძანები იყო, ყველაფერი ისე აღასრულეს. დილით, გათენებისას ძმები გაისტუმრეს, მაგრამ გაცილდნენ თუ არა ისინი ქალაქს, მათ დაეწია იოსების სახლის გამგე და შემდეგი სიტყვებით მიმართა მათ: ძლიერ ცუდათ მოქცეულხართ; სიკეთისთვის სიცუდეს შვრებით. თქვენ იოსების სამო თასი მოგიპარავსთ. ძმებმა მიუგეს: უფალო, რისთვის ბრძანებთ მაგისთანა სიტყვებს? არა, ჩვენ, შენი მონები, მაგისთანა საქმეს არ ჩაიდენთ!

*) იხ. «მწყემსი» № 18, 1894 წ.

აი ხომ იცით, რომ გაყოლილი ვერცხლი უკანვე მოვიტანეთ და მოგვართვით. როგორ შეიძლება, რომ ჩვენ ვერცხლი, ანუ ოქრო მოვიპაროთ? თუ რომელიმე ჩვენგანს თასი აღმოუჩნდება, მაშინ იმას სასიკვდილოთ მოგცემთ და ჩვენ კი შენი ბატონის მონებათ გავხდებით. კარგიო, მიუგო იოსების სახლის გამგემ, როგორც ამბობთ, ისე იყოსო: ვისაც თასი აღმოუჩნდება, ის დარჩეს მონათ და თქვენ კი გამართლებულნი წახვალთო. ძმებმა მაშინვე ჩამოხსნეს საპალნეები და ტომრებს თავი მოხსნეს. იოსების მოსამახურეებმა დაიწყეს თასის ძებნა რიგ-რიგად, უფროსი ძმის ტომრიდამ. თასი აღმოჩნდა ბენიამინის ტომარაში. იოსების ძმები ძლიერ შეშფოთდნენ. შამოიხიეს ტანთ-საცმელი. საჩქაროდ აჰკიდეს საპალნეები და დაბრუნდნენ ეგვიპტეში. შევიდნენ თუ არა იოსებთან, იგინი დაემხვნენ მიწაზედ. რა გიქნიათ ეს? ჰკითხა მათ იოსებმა. ნუ თუ თქვენ არ იცოდით, რომ მისთანა კაცი, როგორიც მე ვარ ყოველაფერს გაიგებდა? ერთმა ძმათაგანმა, სახელდობრ იუდამ, მიუგო: რა უნდა მოგახსენოთ, ჩვენო უფალო? რითი უნდა გავიმართლოთ თავი? ღმერთმა ჩვენში იპოვა სიცრუე; ეხლა ჩვენ ყველანი შენი მონანი ვართ! მაგრამ იოსებმა სთქვა: არა, მაგას არ ვიზამ. ვისაც ჩემი თასი აღმოუჩნდა, მხოლოდ ის დარჩება ჩემ მონად, თქვენ კი მშვიდობით მამასთან წადით. იუდა წადგა წინ და ისევ ლაპარაკი დაიწყო: უფალო ჩემო, ნუ გამირისხდები მონასა შენსა, რადგანაც შენ იგივე ხარ, როგორც ფარაონი; ნება მიბოძეთ რამოდენიმე სიტყვა მოგახსენოთ, შენ კარგად მოგეხსენება, რომ ვისაც თასი აღმოუჩნდა, ის უსაყვარლესი შვილია, ჩვენი მოხუცებული მამისა; იგი არის ღრმა მოხუცებულობაში ნაშობი შვილი; მამი ჩვენის სიცოცხლე, ამ ყმაწვილის სიცოცხლეზეა დამოკიდებული. თუ ჩვენ უმისოთ დაბრუნდებით, მამა ვერ აიტანს ამისთანა მწუხარებას და ჩვენ მოხუცებულ მამას უდროოთ ჩავდებთ სამარეში. მე ვიდეე თავს მაგის პასუხის გება, ამიტომ მე დავრჩები მაგის მაგივრად და ეგ ყმაწვილი ძმებს მამასთან გაატანე.

იოსებმა მეტი ვეღარ მოითმინა და წამოიძახა: გაიყვანეთ აქედამ ყოველი ეგვიპტელი! როდესაც ყველა ეგვიპტელები გარეთ გამოვიდნენ, იოსებმა დაიწყო ხმამაღლა ქვითინი და უთხრა ძმებს: მე ვარ თქვენი ძმა იოსები, რომელიც გამყიდეთ ეგვიპტეში. კიდევ ცოცხალია მამა ჩემი? მოდით ყველანი ჩემთან. ძმები მივიდნენ იოსებთან, მაგრამ ძლიერ აღელვებისა გამო ვერ შესძლეს ლაპარაკი. ეხლა ნუ ჯავრობთ, ნუღა სწუხართ იმას, რაც მიყავით, განაგრძო იოსებმა. თვით ღმერთმა ინება ჩემი აქ გამოგზავნა, რომ თქვენი სიცოცხლე დამეფარა, რადგანაც კიდევ ხუთ წელიწადს იქნება შიმშილობა, ვინაიდგან ამ ხნის განმავლობაში არც ხვნა-თესვა იქნება და არც მკა, ეხლა კი წადით მამასთან, უამბეთ ყველაფერი ჩემი დიდების შესახებ, ყოველივე რაც ნახეთ და საჩქაროთ მომიყვანეთ იგი აქ. გადაეცით იმას ეს ჩემი სიტყვები: ღმერთმა მომცა მე მეუფება მთელ ეგვიპტესა ზედა; მოდი ჩემთან ჩემო მამა, ნუ დაიგვიანებ. შენ შვილებით, შვილი-შვილებით და მთელი ოჯახით, ჩემს ახლო იცხოვრებთ. მე გასაზრდოებ შენ, რადგან შიმშილობა კიდევ ხუთ წელს გასტანს და აღარ დაგლახაკდებით, არც შენ და არც შენი სახლობა. იოსები გადაეხვია თავის ძმას ბენიამენს და ბევრი იტირა. ჰკოცნიდა ყველა ძმებს, სტიროდა და თვითეულ მათგანს ეხვეოდა. ძმებმა შემდეგ ლაპარაკიც დაუწყეს იოსებსა.

იოსების ძმების მოსვლა ფარაონმაც გაიგო. ფარაონს და მასთან დაახლოებულ პირებსაც ეს ამბავი ძლიერ ესიამოვნათ. მეფემ მოიხმო იოსები და უბრძანა გარდაეცა ძმებისათვის შემდეგი: დაასაპალნეთ თქვენი სახედრები პურით და წადით ქანაანის ქვეყანაში; შემდეგ წამოიყვანეთ მამა თქვენი და წადით ქანაანის ქვეყანაში; შემდეგ წამოიყვანეთ მამა თქვენი და მთელი ოჯახობით აქ მოდით. გული ნუ დაგწყდებათ თქვენ ქონებაზედ, მე აქ საუკეთესო ადგილს მოგცემთ საცხოვრებლად. ფარაონის ბრძანებისა მებრ იოსებმა გაატანა ძმებს ცოლ-შვილის წამოსაყვანათ ეტლები და სამგზავრო საგზალი. თვითოეულ ძმათაგანს მაინც მისცა თითო ხელი ტანისამოსი, ბენიამენს კი ხუთი ხელი და ეგრეთვე სამასი ვერცხლი, თავისი მამას იოსებმა გაუგზავნა ეგვიპტის საუკეთესო ნაწარმოებით დასაპალნებული ათი ვირი და ათიც პურით და საგზლით დასაპალნებული. იოსებმა გაისტუმრა თავისი ძმები და დაარიგა, რომ გზაში არ წაკიდებულიყვნენ. ძმები მივიდნენ ქანაანიის ქვეყანაში და მამას უამბეს ყოველივე, რაც თავს გადახდათ. იაკობს გული აუღელვდა. ჯერ არ ჯეროდა, რასაც ეუბნებოდნენ; მაგრამ როდესაც

გამოგზავნილი ეტლები დაინახა, გაუხარდა და წამოიძახა: კმარა! კიდევ ცოცხალია ჩემი შვილი იოსები, წავალ და სანამ ვცოცხალვარ, კიდევ ვნახავ. იაკობი აებარგა მთელი ოჯახობით და ქონებით, წავიდა ბერსაბიაში და შესწირა ღმერთს მსხვერპლი. სიზმარში გამოეცხადა იაკობს ღმერთი და ჰრქვა: იაკობ! იაკობ! მან მიუგო: მე ვარ, უფალო. უფალმან უთხრა: მე ვარ ღმერთი, ღმერთი მამისა შენისა; ნუ გეშინიან, წადი ეგვიპტეში. მე შენთან ვიქნები და შენგან აღვადგენ დიდ ხალხს. მე იქიდამ უკანვე გამოგიყვან. იოსები თავისი ხელით დაგიხურავს თვალებს.

შვილებმა ფარაონისაგან გამოგზავნილი ეტლებით წაიყვანეს თავიანთი მამა იაკობი, ცოლნი და შვილები. თანვე წაიყვანეს აგრეთვე ჯოგი და ყოველი ქონება. იაკობი მალე მივიდა ეგვიპტეში თავისი ოჯახითურთ: შვილებით და შვილიშვილებით. იაკობის ეგვიპტეში გადასახლებული ოჯახი შესდგებოდა სამოც და ათი სულისაგან.

იოსები ჩაჯდა თავის ეტლში, შეეგება მამას, მოეხვია მას კისერზედ და დიდ ხანს იტირა. იაკობმა უთხრა მას: მე ვხედავ, შვილო, რომ ცოცხალი ხარ, ეხლა მე დამშვიდებული გულით მოვკვდები. იოსებმა აცნობა ფარაონს თავის მამისა და ოჯახობის მოსვლა და წარუდგინა მას ხუთი თავისი ძმა. ფარაონმა ჰკითხა მათ: რა საქმის კაცები ხართ? ჩვენ მწყემსნი ვართ, მიუკეს იოსების ძმებმა, მოვედით შენს ქვეყანაში საშინელი შიმშილობაა და არც საბალახოებია ჩვენი ჯოგისათვის. ნება მოგვეცით, ხელმწიფევ, გესემის მიწაზედ დავსახლდეთ. ფარაონმა უთხრა იოსებს: ეგვიპტის ქვეყანა შენს ხელშია, დაასახლე შენი მამა და ძმები საუკეთესო ადგილზე და თუ მოიძებნება მათში ნიჭიერი და გამოცდილი კაცი, ის დააყენე ჩემი ჯოგის მეთვალყურედ.

იოსებმა თავის მამა იაკობიც წარუდგინა ფარაონს. ფარაონმა ჰკითხა მას, რამედნი წლის ხარ? იაკობმა მიუგო: მე ას ოცდა ათი წლის ვარ; ჩემი სიცოცხლის დღენი ძლიერ მცირენი და უბედურნი არიან, სიცოცხლე ჩემი ვერ შეედრება ჩემი წინაპრების დღეგრძელობას. იაკობმა დალოცა ფარაონი და გამოეთხოვა.

იოსებმა ფარაონის ბრძანებისამებრ დაასახლა თავისი მამა და მთელი მისი ოჯახობა ეგვიპტის საუკეთესო ადგილზე, აძლევდა მათ პურს და სხვა საჭირო საზღოს. ისინი დაესახლენ გესემის მიწაზე, შენდებოდნენ და მსწრაფად მრავლდებოდნენ.

იაკობმა ეგვიპტეში იცოცხლა ჩვიდმეტი წელიწადი, შობიდამ კი ას ორმოცდა შვიდი წელიწადი. როდესაც მისი გარდაცვალების დრო მოახლოვდა, მან მოუწოდა იოსებს და უთხრა; შემომფიცე, შვილო, რომ მე ეგვიპტეში არ დამმარხავ, წამასვენებ ქანაანის ქვეყანაში და დამასაფლავებ ჩემ მამაპაპათა სასაფლაოზე; იოსებმა შეფიცა, რომ იგი ისე აღასრულებს, როგორც იაკობმა ბრძანა. ამას შემდეგ იოსებმა მოიყვანა თავისი ორი შვილი მონახე და ეფრემი, რომლებიც ეგვიპტეში შეეძინა და სთხოვა მამას მათი დალოცვა, იაკობმა მოიკრიბა თავისი უკანასკნელი ძალი და უთხრა იოსებს, მე შვილო შენი ხილვის იმედი დაკარგული მქონდა, ღმერთმა არა თუ მარტო შენ, შენი შვილებიც მახილვა. შემდეგ იაკობმა გააკეთა მკლავები ჯვარის სახედ და მარჯვენა ხელი შეხვდა უმცროს ეფრემს და დალოცა ისინი შემდეგი სიტყვებით: «ღმერთმა, რომელსაც მსახურებდნენ მამა და პაპა ჩემი აბრაამი და ისაკი, ღმერთმა მცველმა ჩემმა, და ანგელოსმან მფარველმან ჩემმან ყოველი ბოროტისაგან, აკურთხოს ეს ყმაწვილები და განამრავლოს ქვეყანასა ზედა». ამ დროს იოსებმა შეენიშნა, რომ მარჯვენა ხელი ხედა უმცროსს ეფრემს, ეგონა, ეს მამას შეცდომით მოუვიდა, რადგან კარგად ვეღარ იხედებაო და უთხრა: „მამა! აი უმფროსი ჩემი შვილი მანასე მის თავზე დადეგი მარჯვენა ხელიო; მაგრამ იაკობმა მიუგო; ფიცი, ჩემო შვილო! მანასესგანაც წარმოსდგება დიდი ხალხი, მაგრამ ეფრემი იმაზედ უდიდესი შეიქმნება და მისი თესლისაგან უმრავლესი ხალხი წარმოსდგება.

შემდეგ იაკობმა შეჰკრიბა ყველა თავისი შვილები, დალოცა თვითეული ცალ-ცალკე და უწინასწარმეტყველა (წინად შეატყობინა) რა დაემართებოდათ მათ და მათ შთამომავლობას, ამის შემდეგ განუტევა სული. იოსებმა ორმოცი დღის განმავლობაში შეამურვია სხვა-და-სხვა სუნელოვანი წამლებით მამის გვამი, მალე რომ არ დამიწებულიყო. იაკობი ეგვიპტელებმაც კი იტირეს სამოც-და-ათი დღე და როდესაც დასაფლავების დრო დადგა, იოსებმა სთხოვა ფარაონ მეფეს, რომ მამის გვამი ანდერძისამებრ გაეტანებინა ქანაანის ქვეყანაში დასასაფლავებლად.

მეფემ მისცა ნება. იოსებმა და მისმა ძმებმა წაასვენეს მამის გვამი, მათ გაჰყვნენ ეგვიპტის ყველა შესანიშნავი კაცები. როდესაც მიუახლოვდნენ მდინარე იორდანეს, აქ შვიდ დღეს კიდევ იტირეს იაკობის გვამი და შემდეგ დაასაფლავეს იმ გამოქვაბულ სასაფლაოში, რომელიც აბრაამმა იყიდა სასაფლაოდ. მამის დასაფლავების შემდეგ იოსების ძმებმა მოილაპარაკეს ერთმანეთში შიშისა გამო, ვაი თუ ეხლა დაგვსაჯოს ჩვენ იოსებმა იმ ბოროტებისათვის, რომელიც ჩვენ მას უყავითო, ამიტომ გაუგზავნეს კაცები და შეუთვალეს, რომ მამა ჩვენმა დაგვიბარა, რომ მისი სიკვდილის შემდეგ გვეთხოვა შენთვის შეცოდების მოტევება და ეხლა გთხოვთ, რომ ჩვენი შეცოდება გვაპატიო და არ დაგვსაჯო მისთვის. როდესაც ეს უთხრეს ძმებმა, იოსები ატირდა, ამ დროს მოვიდნენ ძმებიც, დაიჩოქეს მის წინ და შესთხოვეს მოტევება. იოსებმა დაამშვიდა ისინი და უთხრა, რომ თქვენ მე ცუდ საქმეს მიპირობდით, მაგრამ ეს ღმერთმა კეთილად შესცვალა და ამით მრავალი ხალხის სიცოცხლე დაიცვა, თქვენ ნუ გეშინიათ. მე გასაზრდოებთ თქვენ ცოლ-შვილიანად, ისე, როგორც მამი ჩემის სიცოცხლეში, ისინიც დამშვიდდნენ და ყველამ იწყეს ეგვიპტეშივე ცხოვრება. იოსებმა იცოცხლა ას-ათი წელიწადი და მოესწრო თავისი შვილების შვილის-შვილებს. სიკვდილის წინ მოუწოდა თავის შვილებს და ძმებს და უთხრა მათ: მე ვკვდები და როდესაც ღმერთმა აქედამ გაგიყვანოსთ თქვენ იმ ქვეყანაში, რომელიც ფიცით აღუთქვა მამათა ჩვენთა აბრაამს, ისააკს და იაკობს, გაფიცებ თქვენ, ჩემს ძვლებს ნუ დასტოვებთ ამ ქვეყანაში, წაიღეთ და დამარხეთ სამამაპაპო სასაფლაოზედ. იოსები რომ გარდაიცვალა, მისი გვამი შემურეს, ჩადვეს მაგარს კუბოში და დაასვენეს ეგვიპტის გამოქვაბულ კლდეში, რომ შემდეგისათვის ქანაანის ქვეყანაში წასვენებიათ.

საეჭვო კითხვების განმარტება.

მ. რედაქტორო!

უმორჩილესად გთხოვთ თქვენის ჟურნალის «მწყემსი»-ს საშუალებით განგვიმარტოთ შემდეგი კითხვები:

აზიაროს თუ არა მღვდელმა სნეული, რომელიც არ იძლევა პირობას, რომ წინეთ ჩადენილს ცოდვებს აღარ განიმეორებს?

რა სინანულის ზიარება იქნება კაცისათვის, თუ თავის ცოდვებს არ ტოვებს. მღვდლის მოვალეობაა, განუმარტოს აღმსარებელს და მოაშლევინოს განმეორება ძველი ცოდვებისა. თუ კაცი ურჩობს და არავითარ შენანებას არ იჩენს, რასაკვირველია, მღვდელმა იგი არ უნდა აზიაროს, რადგან მსგავსი კაცი თვითონ უარსა ჰყოფს ზიარებას და ქრისტესთან შეერთებას.

რიგია თუ არა ნაკურთხი მდუღარება ცოტა ბარძიმში შთაკტოვოს და დანარჩენი გადაიღვაროს?

იმდენი უნდა მიიღო მდუღარება, რამდენიც საჭიროა და რაღა საჭირო იქნება მომეტებულის გარდაქცევა?

რიგია თუ არა წაღებზე კალოშებ ჩაცმულმა სწიროს მღვდელმა?

კალოშებს იცმენ იმისათვის, რომ წაღები არ გაესვაროსთ ტალახში და როდესაც ოთახში შედიან, კალოშებს შესავალ კარებთან სტოვებენ. რა საჭიროა, რომ ეკკლესიაში წაღებზე კაცს კალოშები ეცვას? ეკკლესიაში ხომ ტალახი არ იქნება?

რიგია თუ არა ხატი ესვენოს იმ ოთახში, რომელშიაც სძინავთ ცოლ-ქმარს?

რა ურიგობა იქნება, რომ ოთახის ყურეში ხატი ესვენოს სალოცავად ცოლ-ქმარს? ცოლ-ქმრობის კავშირი ხომ ეკკლესიისაგან ნაკურთხია?..

შეუძლია თუ არა მღვდელს გვირგვინი უკურთხოს იმისთანა ქალს, რომელიც რამდენიმე ხანი საქმროს-თან სცხოვრობდა და ეჭვი აღებულია, რომ იგი ფეხ-მძიმეა?

სრული ნება აქვს მღვდელს გვირგვინი უკურთხოს. მღვდელს მოწმობაში ცხადათ უწერია ყველა ის მიზეზები, რომელნიც გვირგვინის კურთხევას აბრკოლებენ და ამ მიზეზად კანონი არაფერს არ ამბობს. ადრე დაბადებულ ბავშვსაც კანონი უკანონოდ დაბადებულად არ რაცხს, თუ თვითონ ქმარი არ ჩივის...

რიგია თუ არა საიდუმლო ლოცვები მღვდელს უკითხოს მედავითნემ, როცა პირველი ზის და ვისმეს ემუსაიფება?

სრული უფლება აქვს მედავითნეს არ წაუკითხოს საიდუმლოების ლოცვები, თუ მღვდელი, რომლისათვისაც კითხულობს ლოცვანს, გარეშე პირს მუსაიფს გაუმართავს...

რამდენათ კანონიერია ბლაღოჩინმა მისწეროს მღვდელს „შენი"-თ და «გიბრძანებ»?

სრულებით უკანონო და შეუფერებელია. უკანასკნელი ზრდილობა მოითხოვს ამას, არა თუ მღვდელობის ხარისხი.

სამსახურიდამ გამოსულს მღვდელს ნება აქვს თუ არა, იმსახუროს მღვდელთ-მოძღვრის თანამდებობაზე, როცა ამას საჭიროება არ მოითხოვს?

არა აქვს უფლება. სამსახურიდამ კაცი გამოდის მოხუცებულობის და შეუძლებლობისა გამო და ასეთი პირი შრომას და მოძღვართ-მოძღვრებას როგორ აღასრულებს?

განა ყველა ანდერძს ამგები მღვდელი ჩაიწერება მეტრიკაში, მაგალითად მღვდელთ-მთავარი?

რასაკვირველია ყველანი უნდა ჩაიწერონ, ვინც აუგო ანდერძი და მღვდელ-მთავარიც.

გარდაცვალებულზე ნაწერილობაში ვინც უკანასკნელად აზიარა ის უნდა ჩაიწეროს მაზიარებლად, თუ ადგილობითი მოძღვარი?

ვინც უკანასკნელად აზიარა ავადმყოფი და ათქმევინა აღსარება, ის დაიწერება მეტრიკაში.

რუსულის არა მცოდნე მედავითნეს ხომ არ შეუძლია რუსულად შედგენილი საეკლესიო საბუთების უსწორობაზე გამოაცხადოს მიზეზი, როცა იმას ქსრეთზე ხელი მოწერილი აქვს (თავისი სახელი და გვარი) რუსულადვე?

მედავითნე ვალდებულია საეკლესიო საბუთები თვით შეადგინოს და თვითონ თუ არ იცის მისი შედგენა და სხვა უდგენს, ხელის მოწერაზე როგორ იტყვის უარს.

გვირგვინის კურთხევის დროს რიგია თუ არა სასიძო იდგეს იარაღით?

ხანჯლით და იარაღით ეკლესიაში დგომა არა არის შესაფერი და საიდუმლოს შესრულების დროს რა საჭიროა იარაღის ტარება?

რედაქციის პასუხი.

— ი. გ. თქვენი კითხვების განმარტების შესახებ დროს დაკარგვა არა ღირს. განუმარტებლადაც ყველა უნდა მიხვდეს, რომ კვეთის დროს მღვდელიც და დიაკონიც შემოსილნი უნდა იყვნენ. არა თუ საყდარში, გარეთაც არ უნდა დადიოდეს მღვდელი უანაფოროთ. თმას იწნავენ ქალები და მღვდლისათვის მათი წაბაძვა სირცხვილია. სიტყვა არ იყო შესანიშნავი და ამიტომ არ იბეჭდება.

ერთ სკოლის მასწავლებელს. სამოქალაქო მსაჯულის და პოლიციას უნდა აცნობოთ თქვენგან აწერილი უწესოება.

შეწირულებანი.

მამაო რედაქტორო!

უმორჩილესად გთხოვთ, ნება გვიბოძოთ თქვენის გაზეთის «მწყემსი»-ს საშუალებით უგულითადესი მადლობა გამოუცხადოთ რწმუნებულს ჩემდამო მრევლთაგანს გლახუნ თომას ძე წილოსანს, რომელმაც პირველი მაგალითი უჩვენა საზოგადოებას და შესწირა რწმუნებულ ჩემდამო ლანჩხუთის იოანნე ნათლისმცემლის შტატის ეკლესიას ერთი წყვილი ჯვარ-საწერი გვირგვინი, ღირებული 15 მანეთამდე.

ბლაღოჩინი მღვდელი კონსტანტინე კანდელაკი.

ԿԷՂՊԻՋՏՀԱՆԻ ՇԻԱՎԷՒՆ.

տարի	փոքրագոյն կարգադրութիւն	լիա	նոյեմբերգոյ
Հաղիշկոսի.	Կ	ԿԾ	Ն	Կ
—	ԿՆ	ԿԳ	Բ	Դ
Ճղկղիշկոսի	Ծ	ԿԴ	Է	Ծ
—	ՆԷ	ԿՆ	Կ	Գ
—	ՆԲ	ՆԲ	Կ	Դ
—	ԿԳ	ԿՈ	Ծ	Ն

ᲛᲘᲘᲦᲔᲑᲐ ᲮᲔᲚᲘᲡ-ᲛᲝᲬᲔᲠᲐ 1895 ᲬᲚᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲝᲠ ᲙᲕᲘᲠᲔᲣᲚ ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲐᲗᲐ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲡ

„ᲛᲬᲧᲔᲛᲡ“-ᲖᲔ

ᲓᲐ

ᲠᲣᲡᲣᲚ «ПАСТЫРЬ»-ᲖᲔᲓ

ᲛᲘᲖᲜᲘ ᲓᲐ ᲓᲐᲜᲘᲨᲜᲣᲚᲔᲑᲐ ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡᲐ: 1) ᲨᲔᲐᲢᲧᲝᲛᲑᲘᲜᲝᲡ ᲡᲐᲛᲦᲕᲔᲓᲔᲚᲝ ᲓᲐ ᲡᲐᲔᲠᲝ ᲬᲝᲓᲔᲑᲐᲡ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲒᲐᲜᲙᲐᲠᲒᲣᲚᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲐ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲗᲐ ᲡᲐᲡᲣᲚᲘᲔᲠᲝ ᲓᲐ ᲡᲐᲔᲠᲝ ᲛᲐᲠᲗᲔᲑᲚᲝᲑᲐᲗᲐ, ᲙᲝᲜᲡᲘᲡᲢᲝᲠᲘᲘᲗᲐ ᲓᲐ ᲛᲦᲕᲓᲔᲚ-ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲗᲐ; 2) ᲒᲐᲐᲕᲠᲪᲔᲚᲝᲡ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲡᲐᲡᲣᲚᲘᲔᲠᲝ ᲬᲝᲓᲔᲑᲐᲨᲘ ᲓᲐ ᲮᲐᲚᲮᲨᲘ ᲡᲐᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲝ ᲡᲬᲐᲕᲚᲐ ᲓᲐ ᲪᲝᲓᲜᲐ ᲡᲐᲔᲙᲚᲔᲡᲘᲝ ᲓᲐ ᲡᲐᲖᲝ�გᲐᲓᲝᲔᲑᲠᲘᲕᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲙᲘᲗᲮᲕᲐᲗᲐ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ; 3) ᲒᲐᲐᲕᲠᲪᲔᲚᲝᲡ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲐᲛᲦᲕᲔᲓᲔᲚᲝ ᲓᲐ ᲡᲐᲔᲠᲝ ᲬᲝᲓᲔᲑᲐᲨᲘ ᲡᲬᲐᲕᲚᲐ ᲓᲐ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲐ ᲥᲠᲘᲡᲢᲘᲐᲜᲝᲑᲠᲘᲕᲘ ᲙᲔᲗᲘᲚ ᲬᲜᲔᲝᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲠᲬᲛᲣᲜᲝᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ 4) ᲐᲣᲮᲡᲜᲐᲡ ᲓᲐ ᲒᲐᲜᲣᲛᲐᲠᲢᲝᲡ ᲡᲐᲛᲦᲕᲔᲓᲔᲚᲝ ᲓᲐ ᲡᲐᲔᲙᲚᲔᲡᲘᲝ ᲛᲝᲡᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲔ ᲞᲘᲠᲗᲐ ᲖᲝᲒᲘᲔᲠᲗᲘ ᲡᲐᲔᲭᲕᲝ ᲙᲘᲗᲮᲕᲔᲑᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐ ᲪᲝᲓᲜᲐ ᲛᲘᲣᲪᲘᲚᲔᲑᲔᲚ ᲡᲐᲭᲘᲠᲝᲔᲑᲐᲡ ᲨᲔᲐᲓᲒᲔᲜᲡ ᲛᲐᲗᲗᲕᲘᲡ ᲛᲢᲙᲘᲪᲔᲓ ᲛᲐᲗᲘ ᲛᲝᲕᲐᲚᲔᲝᲑᲘᲡ ᲐᲦᲡᲠᲣᲚᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ.

ᲛᲘᲖᲜᲘ ᲓᲐ ᲓᲐᲜᲘᲨᲜᲣᲚᲔᲑᲐ ᲠᲣᲡᲣᲚᲘ ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲘᲡᲐ ᲖᲔᲛᲝᲮᲡᲔᲜᲔᲑᲣᲚᲘᲡ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲛᲘᲡ ᲐᲦᲡᲠᲣᲚᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲠᲓᲐ ᲐᲠᲘᲡ — 1) ᲨᲔᲐᲢᲧᲝᲛᲑᲘᲜᲝᲡ ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ ᲡᲐᲡᲣᲚᲘᲔᲠᲝ ᲓᲐ ᲡᲐᲔᲠᲝ ᲬᲝᲓᲔᲑᲐᲡ ᲨᲘᲜᲐᲐᲠᲡᲘ ᲨᲔᲡᲐᲜᲘᲨᲜᲐᲔ ᲓᲐ ᲡᲐᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲝ «ᲛᲬᲧᲔᲛᲡ»-ᲨᲘ ᲓᲐᲑᲔᲭᲓᲘᲚ ᲡᲢᲐᲢᲘᲔᲑᲘᲡᲐ; 2) ᲒᲐᲐᲪᲜᲝᲡ ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ ᲡᲐᲡᲣᲚᲘᲔᲠᲝ ᲓᲐ ᲡᲐᲔᲠᲝ ᲬᲝᲓᲔᲑᲐᲡ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ, ᲔᲡ ᲓᲐᲨᲝᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲙᲣᲗᲮᲔ ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ ᲘᲛᲞᲔᲠᲘᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲐᲡᲣᲚᲘᲔᲠᲝ ᲓᲐ ᲡᲐᲔᲠᲝ ᲬᲝᲓᲔᲑᲐ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲘᲡ ᲡᲐᲨᲣᲐᲚᲔᲑᲘᲗ ᲒᲐᲐᲪᲜᲝᲡ ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ ᲡᲐᲡᲣᲚᲘᲔᲠᲝ ᲛᲬᲔᲠᲚᲝᲑᲐᲡ ᲓᲐ ᲮᲐᲚᲮᲘᲡ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐᲡ.

ᲤᲐᲡᲘ ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘᲡᲐ:

12 თვით «მწყემსი» 5 მ.	6 თვით «მწყემსი» 3 მ.
— ,, ორივე გამოცემა 6 »	— ,, ორივე გამოცემა 4 »
— ,, რუსული ,, 3 მ.	— ,, რუსული ,, 2 მ.

ᲡᲝᲤᲚᲘᲡ ᲛᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲔᲚᲗ ᲒᲐᲖᲔᲗᲔᲑᲘ ᲓᲐᲔᲗᲛᲝᲑᲐᲗ ᲛᲗᲔᲚᲘᲡ ᲬᲚᲘᲗ ᲡᲐᲛ ᲛᲐᲜᲔᲗᲐᲓ.

ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐᲡ ᲐᲥᲕᲡ ᲙᲐᲜᲢᲝᲠᲔᲑᲘ: ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲨᲘ ᲮᲐᲜᲐᲜᲐᲨᲕᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲮᲚᲔᲑᲨᲘ ᲓᲐ ᲣᲕᲘᲠᲘᲚᲐᲨᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘᲡ ᲡᲐᲙᲣᲗᲐᲠ ᲡᲐᲮᲚᲔᲑᲨᲘ.

ᲒᲐᲖᲔᲗᲖᲔ ᲮᲔᲚᲘᲡ-ᲛᲝᲬᲔᲠᲐ ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲣᲕᲘᲠᲘᲚᲐᲨᲘ, ᲐᲒᲠᲔᲗᲕᲔ ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲨᲘᲐᲪ.

ᲖᲐᲠᲔᲛᲨᲔ ᲛᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲗᲐ ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘᲡ ᲓᲐᲑᲐᲠᲔᲑᲐ ᲨᲔᲣᲫᲚᲘᲐᲗ ᲐᲛ ᲐᲓᲠᲔᲡᲘᲗ: Въ Квирилы, въ редакцію газеты и журнала „МЦКЕМСИ“ и «ПАСТЫРЬ».

1895 ᲬᲚᲘᲡ «ᲛᲬᲧᲔᲛᲡᲘ»-Ს

ᲮᲔᲚᲘᲡ ᲛᲝᲛᲬᲔᲠᲚᲔᲑᲡ ᲡᲐᲩᲣᲥᲠᲐᲗ ᲓᲐᲣᲠᲘᲒᲓᲔᲑᲐᲗ

ᲨᲝᲗᲐᲡ ᲓᲐ ᲓᲐᲕᲘᲗ ᲐᲦᲛᲐᲨᲔᲜᲔᲑᲔᲚᲘᲡ

ᲛᲝᲖᲐᲠᲓᲘᲚᲘ ᲛᲮᲐᲢᲕᲠᲝᲑᲐ

ᲨᲝᲗᲐᲡ ᲡᲣᲠᲐᲗᲡ ᲘᲐᲜᲕᲠᲘᲓᲐᲜ ᲛᲘᲘᲦᲔᲑᲔᲜ ᲮᲔᲚᲘᲡ ᲛᲝᲛᲬᲔᲠᲜᲘ ᲓᲐ ᲓᲐᲕᲘᲗ ᲐᲦᲛᲐᲨᲔᲜᲔᲑᲔᲚᲘᲡᲐᲡ ᲬᲚᲘᲡ ᲑᲝᲚᲝᲡ.

Редакторъ-издатель, П. Д. Гамбашидзе. *Дозволено цензурою. Тифлисъ,* 26 Ноября 1894 г.

Типографія редакціи (П. Д. Гамбашидзе). Въ Кутаисѣ, помѣщ. въ д. бр. Хананов ыхъ, на Нѣмецкой ул.